

საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №321
2018 წლის 9 აგვისტო

ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹ მუხლის მე-8 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის №3128 კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის თანდართული დებულება.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 29 ნოემბრის №208 ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

თეა წულუკიანი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – პრობაციის ეროვნული სააგენტო) პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომში – კომისია) წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც იხილავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის პირველი ნაწილითა და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹ მუხლის პირველი და 1¹ პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებს.

2. კომისიის მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა.

3. კომისიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „არასაპატიმრო



სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, ეს დებულება და სხვა ნორმატიული აქტები.

4. კომისიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, №42.

5. კომისიას აქვს მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულების მქონე ბლანკი და ბეჭედი, რომელიც ინახება კომისიის თავმჯდომარესთან.

მუხლი 2. კომისიის საქმიანობის პრინციპები

კომისიის საქმიანობა ეფუძნება დამოუკიდებლობის, კანონიერების, გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს.

მუხლი 3. კომისიის შემადგენლობა და დაკომპლექტების წესი

1. კომისია შედგება კომისიის 5 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან:

ა) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის 2 თანამშრომელი;

ბ) სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის (შემდგომში – სპეციალური პენიტენციური სამსახური) სამოქალაქო დანაყოფში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფის 1 მოსამსახურე;

გ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 წარმომადგენელი;

დ) არასამთავრობო ორგანიზაციების 1 წარმომადგენელი.

3. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები კომისიის წევრის უფლებამოსილებას ახორციელებენ 1 წლის ვადით.

4. არასამთავრობო ორგანიზაციების 1 წარმომადგენლის კანდიდატურას პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსს დასამტკიცებლად წარუდგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკოორდინაციო საბჭო.

5. კომისიის შემადგენლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების 1 წარმომადგენელს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამოქალაქო დანაყოფში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფის 1 წარმომადგენელსა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის 2 მოსამსახურეს ამტკიცებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 წარმომადგენელს ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

მუხლი 4. კომისიის წევრი

1. კომისიის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს კომისიის საქმიანობაში;

ბ) დასვას საკითხი სხდომაზე განსახილველად, გამოთქვას შენიშვნები და მიაწოდოს კომისიას წინადადებები მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით;

გ) გაეცნოს შუამდგომლობას და საქმის მასალებს.

2. კომისიის წევრი ვალდებულია:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობანი;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაიცვას პერსონალური მონაცემები და არ გაახმაუროს მსჯავრდებულთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის სხვა ინფორმაცია;

გ) არ გამოიყენოს კომისიის წევრის სტატუსი პირადი ან თავისი პროფესიული ინტერესებისათვის;



დ) უარი თქვას ნებისმიერი სახის უკანონო შემოთავაზებაზე და არ გამოიყენოს არსებული მდგომარეობა სოციალურ-ეკონომიკური ან სხვა რაიმე სახის სარგებლის მისაღებად;

ე) მსჯავრდებულებთან ურთიერთობისას იყოს თავაზიანი და ტაქტიანი;

ვ) არ მოიმოქმედოს არაფერი იმგვარი, რაც შელახავს საბჭოს იმიჯს ან რეპუტაციას.

3. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ამ დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ვადის გასვლა ან კომისიის წევრად დანიშვნისას დაკავებულ თანამდებობაზე სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) კომისიის სხდომის არასაპატიო მიზეზით ზედიზედ სამჯერ გაცდენა;

ე) მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ვ) კომისიის წევრის მიერ ვალდებულების არაკეთილსინდისიერად ან/და არაჯეროვნად შესრულება, სხვებს შორის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ გაუცხადებლობის ან ამ მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო;

ზ) გარდაცვალება.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კომისიის წევრის უფლებამოსილება, გარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლისა, წყდება პროზაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის ბრძანებით, ხოლო იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლისა – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ბრძანებით.

5. კომისიის წევრები საქმიანობას ეწევიან ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 5. კომისიის ხელმძღვანელი პირები

1. კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც კომისიის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით ირჩევს კომისია. კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს.

2. კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას;

ბ) იწვევს კომისიის სხდომებს და განსაზღვრავს მათი ჩატარების დროსა და ადგილს;

გ) ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრებს შორის;

დ) უძღვება სხდომაზე საკითხის განხილვას;

ე) ზედამხედველობს კომისიის წევრების მიერ მოვალეობათა შესრულებას;

ვ) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმს;

ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. კომისიას ჰყავს კომისიის მდივანი (კომისიის წევრი), რომელსაც კომისიის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით ირჩევს კომისია. კომისიის მდივნის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს.

4. კომისიის მდივანი:



ა) ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას;

ბ) ასრულებს კომისიის თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს;

გ) უზრუნველყოფს კომისიის წევრებისთვის მასალების პერიოდულად გაგზავნას;

დ) გამოითხოვს განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ მასალებს;

ე) უზრუნველყოფს სხდომის ოქმის წარმოებას;

ვ) ხელს აწერს სხდომის ოქმს;

ზ) კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს აცნობს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ორგანოებს;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. კომისიის უფლებამოსილება

1. კომისია უფლებამოსილია განიხილოს მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს (შემდგომში – პრობაციის ბიურო) უფროსის შუამდგომლობა, ასევე პირის მომართვის საფუძველზე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით პირისათვის ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირების საკითხები.

2. კომისია აგრეთვე უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საკითხების განხილვისათვის, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებიდან.

მუხლი 7. კომისიის სხდომა

1. კომისიის სხდომა ტარდება ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით. თუ კომისია ჩათვლის საჭიროდ უშუალოდ მსჯავრდებულისაგან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია, ის ატარებს ზეპირ მოსმენას.

2. პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და მსჯავრდებულისთვის ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის, ასევე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე პირისათვის ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენაზე ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირებაზე უარის თქმის შესახებ კომისია უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

3. ზეპირ მოსმენაზე დასწრების უფლება აქვთ მსჯავრდებულს, მის დამცველს/ადვოკატსა და მსჯავრდებულზე ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს.

4. კომისიის გადაწყვეტილებით, კომისიის სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალური ცოდნის მქონე პირი (ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, პედაგოგი ან სხვა ვიწრო სპეციალიზაციის პირი), მათ შორის, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის ცენტრის – წარმომადგენელი. მოწვეული სპეციალისტის გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს კომისიის სხდომის ჩატარებას.

5. კომისიის სხდომას იწვევს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის სხდომა, როგორც წესი, იმართება თვეში ერთხელ, ხოლო კომისიის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა კომისიის თავმჯდომარის ან კომისიის არანაკლებ 2 წევრის მოთხოვნით.

6. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

7. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.



8. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი კომისიის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 8. კომისიის საქმიანობის წესი

1. კომისია თავის მორიგ სხდომაზე განიხილავს მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ პრობაციის ბიუროს უფროსის მიერ წარმოდგენილ იმ შუამდგომლობებს, რომლებიც მის წინაშე წარდგენილ იქნა სხდომის ჩატარებამდე ხუთი სამუშაო დღით ადრე. ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირების შესახებ შემოტანილ განცხადებებს კომისია განიხილავს პერიოდულად, როგორც წესი, თავის მორიგ სხდომაზე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, რიგგარეშე სხდომაზე.

2. საქმის მასალები, კომისიაში შემოსვლიდან მოკლე ვადაში, ეგზავნებათ კომისიის წევრებს სხდომის ჩატარებამდე გაცნობის მიზნით.

3. კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რასაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

მუხლი 9. მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა

1. კომისიას პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის თაობაზე შუამდგომლობით მიმართავს პრობაციის ბიუროს უფროსი, მსჯავრდებულის (მისი დამცველის, ან კანონიერი წარმომადგენლის) შესაბამისი განცხადების საფუძველზე.

2. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია მხედველობაში იღებს მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელი ვადის მოხდის თავისებურებებს, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, მსჯავრდებულის ქცევას პირობითი მსჯავრის მოხდის განმავლობაში, მსჯავრდებულის პიროვნებას, მის ოჯახურ პირობებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას, რესოციალიზაციის პერსპექტივასა და მსჯავრდებულის მზაობას, სრულფასოვნად ჩაებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომისიის გადაწყვეტილებაზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს დამატებითი სასჯელის სახით შეფარდებული აქვს ჯარიმა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შუამდგომლობას თან უნდა ერთოდეს ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 273-ე ან 273¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში განცხადებას თან უნდა დაერთოს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ ნარკოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე გაცემული ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ექსპერტის დასკვნა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №479 - ვებგვერდი, 27.12.2019 წ.

მუხლი 10. ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენა ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირება

1. კომისიას ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირების შესახებ მიმართავს უფლებაჩამორთმეული პირი (მისი დამცველი, ან კანონიერი წარმომადგენელი) შესაბამისი განცხადების საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადება უნდა შეიცავდეს უფლებაჩამორთმეული პირის მოთხოვნასა და მის საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემებს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომერი).

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) უფლებაჩამორთმეული პირის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) განაჩენის ასლი, რომლის საფუძველზეც პირს ჩამორთმეული აქვს უფლებები და აღნიშნულ განაჩენთან დაკავშირებული ყველა ის დოკუმენტი (განაჩენი, განჩინება, განკარგულება, გადაწყვეტილება,



პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შესახებ ცნობა და სხვ.), რომლებიც გავლენას ახდენს პირის სამართლებრივ მდგომარეობაზე;

გ) სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ დინამიური-ნარკოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე გაცემული ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ექსპერტის დასკვნა.

4. კომისია გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იღებს წარმოდგენილ დოკუმენტებს, ნარკოლოგიური შემოწმების შედეგებს და უფლებაჩამორთმეული პირის ყოფაქცევის შესახებ სხვა ინფორმაციას.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №479 - ვებგვერდი, 27.12.2019 წ.

მუხლი 11. კომისიის გადაწყვეტილება

1. ამ დებულების მე-9 და მე-10 მუხლებით დადგენილი წესით წარმოდგენილი შუამდგომლობის/განცხადების განხილვის შემდეგ კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ;

ბ) მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებასა და ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის შესახებ;

გ) ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის შესახებ;

დ) ჩამორთმეული უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირების შესახებ;

ე) ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენაზე ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირებაზე უარის თქმის შესახებ.

2. კომისიის გადაწყვეტილება მსჯავრდებულისთვის/უფლებაჩამორთმეული პირისთვის უარის თქმის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული.

3. თუ მუდმივმოქმედი კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებასა და ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის, აგრეთვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად პირისათვის ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენაზე ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირებაზე უარის თქმის შესახებ, ამავე საკითხებზე შუამდგომლობის ხელახალი განხილვა დასაშვებია გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის შემდეგ.

4. კომისიის გადაწყვეტილება მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებასა და ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის შესახებ/ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენაზე ან ამ უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირებაზე უარის თქმის შესახებ 10 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მსჯავრდებულს/უფლებაჩამორთმეულ პირსა და შესაბამის პრობაციის ბიუროს.

5. კომისიის გადაწყვეტილება მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ 5 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მსჯავრდებულს და შესაბამის პრობაციის ბიუროს.

6. კომისიის გადაწყვეტილება უფლებაჩამორთმეული პირისთვის ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის/ჩამორთმეული უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირების შესახებ 5 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მსჯავრდებულს, შესაბამის პრობაციის ბიუროსა და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებს.

7. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება ადმინისტრაციული წესით ერთჯერადად გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 12. კომისიის საქმიანობის უზრუნველყოფა

კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებენ პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მიერ განსაზღვრული პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურეები.

